№ 165 აგვისტო 6, შაბათი 1888 აგვისტო 6, შაბათი № 165

გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 9 აგვისტ.**

**გაზ. „თეატრის“ რედაქციისაგან.** ვისაც გაზ. „თეატრი“ ნახევარ წლით ჰქონდათ გამოწერილი ვადა შეუსრულდათ ხვედრი ნომრები სრულიად გაეგზავნათ და გაზეთის გზავნა ამ თვის შვიდიდამ მოესპოთ.

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს** პატივი აქვს სთხოვოს თავადთა და აზნაურთა, რათა ინებონ მობძანება კვირას, 7-ს აგვისტოს, დილის 10 საათზედ, დეპუტატთა სობრანიაში (პუშკინის ქუჩაზე, სასულიერო სემინარიის პირდაპირ), განსაკუთრებით ყრილობაზე, რომელმაც უნდა განიხილოს თავად-აზნაურობისათვის დიდი მნიშენელობიანი საქმე. (1—1)

ტფილისი, 5 აგვისტო

მოგეხსენებათ, რომ შიდა ევროპის სახელმწიფოებს, გერმანიასა, ავსტრიასა და იტალიას შორის მტკიცე კავშირი არსებობს, რომელსაც სამთა კავშირს უწოდებენ, ანუ კავშირს მშვიდობიანობისას, რადგანაც იგი, როგორც წამ-დაუწუმ გაიძახიან მოკავშირენი, იმ განზრახვით არის შეკრული, რომ ააცილოს ევროპას ომისა და სისხლის ღვრის განსაცდელი. შეიძლება ასეც იყოს, შეიძლება ეს სამი სახელმწიფო მართლაც კრიჭაში უდგეს დანარჩენს ომის მოსურნე ევროპას, მაგრამ როგორდაც კაცს უნებურად გაგონდება ერთი ჩვენებური ანდაზა,—ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო—როცა ისმენ ამ სამის მძლავრისა და თავიდამ-ფეხამდის თოფ-იარაღში ჩამჯდარის სახელმწიფოს ღაღადისს კაცთ მოყვარე მშვიდობისა და სათნოების შესახებ. იმათი საქმეები არ ამტკიცებს მათს სამშვიდობო თავ-გამოდებას. აი ახლაც ერთს ამ მოკავშირეთაგანს, იტალიას, გამართული აქვს საფრანგეთთან კალმითა და მიწერ-მოწერით გაცხარებული ომი. ამ გვარს უსისხლო ომს, მოგეხსენებათ, დიპლომატიური ომი ჰქვიან. რა მიზეზია, რამ ასტეხა ეს კალმის ომი? პოლიტიკურმა ჯიბრმა და მეტოქეობამ, თუმცა თვალდათვალი მიზეზი-კი არის იტალიისაგან აფრიკაში ახლად დაჭერილი ქვეყანა, მეწამულის ზღვის პირად მდებარე მასსოვა. ახლა დიდებულს სახელმწიფოდ გადაქცეული იტალია, გერმანიისა, ავსტრო-ვენგრიისა და ინგლისის ტოლ-ამხანაგი, ამ ორმოციოდე წლის წინად ნაკუწნაკუწად იყო განაწილებული, ყოვლად უღონო და უძლური. იმის გადიდსახელმწიფოებას, აღორძინებასა და გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი საფრანგეთმა. ახლა გამეგობრებული ავსტრია იყო მაშინ იმისი მტარვალი და მძლავრი ბატონი. დრონი იცვალნენ. პოლიტიკამ არ იცის მადლის დამახსოვნება. იტალია სისხლ-ხორცით იმავე ლათინთა მოდგმისაა, რა მოდგმასაც ეკუთვნის საფრანგეთის ერი. პოლიტიკამ არ იცის სისხლი და ნათესაობა: აქ სუფევს მხოლოდ საკუთარის ინტერესის მკაცრი მეუფება. აქამდის ხმელთა შუა ზღვაზე ბატონობა და პირველობა ფრანგებს ეკუთვნოდათ. ეს არაფრად ეპრიანება ზღვათა მეუფეს, ინგლისსა და, ინგლისის ახალს მორჩილს მეგობარს, იტალიასაც. იტალია ფიქრობს ოდესმე ხმელთა შუა ზღვაზე გაბატონებასა და საფრანგეთის მაგიერობას. ამას გარდა ინგლისს უკვე უჭირავს აფრიკაში ამ ზღვის პირად მდებარე ეგვიპტე, საფრანგეთი კაი ხანია ჰფლობს აქვე ალჟირსა და ტუნისს. გულ-დაწყვეტილი იტალია სცდილობს ტრიპოლისი მაინც არ დაანებოს სხვას და ჩაიგდოს ხელში.

დარჩება კიდევ ერთი ქვეყანა აფრიკაში ამავე ზღვის პირად მდებარე, მაროკკო, რომელსაც კაი ხანია თავისს ლუკმად სთვლის ლათინთა მოდგმის მესამე სახელმწიფო, ისპანია. ამ გვარად პოლიტიკური ჯიბრი და განზე გაწევისა და გაგანიერების სურვილი უშლის ხელს შეკავშირებას ლათინთა მოდგმის სამს მეზობლად მყოფს, მონათესავესა და ერთმორწმუნე სახელმწიფოს, რომლებსაც ამასთანავე ბევრი სხვა რამეცა აქვსთ მიმსგავსებული, თუ ხასიათი და ენა და თუ კულტურა და პოლიტიკური წესი და რიგი. ახლა ცხადია, თუ რათ ასტეხა მასსოვამ დიპლომატიური ომი საფრანგეთსა და იტალიას შუა, მაგრამ საჭიროა ორიოდე სიტყვა იმაზედაც ვსთქვათ, თუ რამ მისცა მიზეზი ამ უსისხლოსა, მაგრამ ფარულის გულღვარძლის გამომჟღავნებელს ომს. მასსოვა ეგვიპტეს მეზობლად მდებარე ქვეყანა გახლავსთ და, სანამ წინასწარმეტყველი მაჰდი გაჩნდებოდა, ეგვიპტის ჯარებით იყო კიდეც დაჭერილი, მაშასადამე, ოსმალოს ეკუთვნოდა, რადგან ეგვიპტე ოსმალოს ხელ-ქვეით და მოხარკე პროვინციად ითვლება,—თუმცა ისიც-კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ეს «მაშასადამე» ძალიან უკაცრაული მაშასადამეა და ოსმალეთის უფლებაც მასსოვაზე დიდად საეჭვო საგანია. გაჩნდა მაჰდი, ეგვიპტემ იმის წინააღმდეგ გაიყვანა მასსოვიდამ ჯარი, ინგლისმა ჩააყენა ეგვიპტეში თავისი ჯარები და იტალიამაც ინგლისის თანხმობით დაიჭირა მასსოვა. ამის გამო იტალიას ომიც-კი მოუხდა აბისსინიასთან, რომელიც იჩემებდა აგრეთვე ამ ქვეყნებს და რომელთანაც დღესაც არა აქვს კარგად გაწმენდილი ანგარიში. გასწყდა მაჰდის ხსენება, მაგრამ ინგლისი არ ეშვება ეგვიპტეს, რომელსაც ჩაუდგა ბოქაულად, ვითომ-და მაჰდის მოსაშორებლად და წესის დასამყარებლად. ამ ბოლოს ხანს იტალიამ, რომელიც ვითომც ჰშველოდა ინგლისს მაჰდისთან ბრძოლასა და ეგვიპტეში წესის დამყარებაში, მოსპო მასსოვაში კაპიტულაციები. რას ჰქვიან კაპიტულაციები? ასე ეძახიან იმ სავაჭრო ხელ-შეკრულობას, რომელიც არსებობს ოსმალეთსა და სხვა რომელსამე ევროპის სახელმწიფოს შუა და რომლის ძალითაც ევროპის სახელმწიფოს ქვეშევრდომს ენიჭება ოსმალეთის საბრძანებელში სხვა-და-სხვა უპირატესობა, მაგალითად, ხარჯისაგან განთავისუფლება და თავისის საკუთარის სამართლით განსამართლება. რაკი ოსმალეთის რომელსამე კუთხეს დაიჭერს ევროპის სხვა სახელმწიფო, რომელიც უფრო განწყობილ სახელმწიფოდ ითვლება, ვიდრე ოსმალეთი, ზემოხსენებული სავაჭრო ხელ-შეკრულობა, ანუ კაპიტულაციები უქმდება. მაგალითად, როცა ავსტრო-ვენგრიამ დაიჭირა ბოსნია და გერცოგოვინა, მან გააუქმა ყოველივე განსაკუთრებული უფლება და უპირატესობა, რომელიც-კი მინიჭებული ჰქონდა იქ ევროპიელებს ოსმალეთის ბრძანებლობის დროს. მაგრამ ჩვეულებადაა შემოღებული, რომ კაპიტულაციების გაუქმება ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების შემდეგ უნდა მოხდეს. იტალიამ არ აასრულა ეს ჩვეულება და სხვა სახელმწიფოებთან მოულაპარაკებლად და შეუთანხმებლად გააუქმა პირდაპირ მასსოვაში კაპიტულაციები, ესე იგი მოუსპო ევროპიელებს ყოველივე უპირატესობა და ამასთანავე მასსოვაც ამიერიდამ თავისს სამფლობელოდ გამოაცხადა. საფრანგეთმა არ იცნო იტალიის ასეთი საქციელი კანონიერად და აუწყა ევროპას თავისი შეხედულობა ამ საგნის შესახებ. იტალიამ თავისის მხრით გაუგზავნა სახელმწიფოებს საპასუხო ნოტა, და ასე და ამ გვარად გაჩნდა და გაჩაღდა კალმის უშველებელი წრიპინი და გაცხარებული დიპლომატიური მიწერ-მოწერა მასსოვას დაჭერასა და იქ კაპიტულაციების გაუქმების თაობაზედ. ეს გახლავსთ ის საგანი, რომელზედაც იმტვრევს თავს დღეს ევროპის წარჩინებული დიპლომატია.

გრ. ვ—კი

◆

# ფელეტონი

## აფხაზები და აფხაზნი

(საეტნოგრაფიო აღწერა)

### წინასიტყვაობა

ჩვენს დროს, როდესაც ცოდნამ კაცისამ ასეთი დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ და სხვა-და-სხვა შტო მეცნიერებისა იზრდება დღე ყოველ, ჟამსა ყოველსა, იხეთქს ახალ-ახალს ყლორტებს, აი ამ დროს ცნობის მოყვარე, ხალისიანი კაცი დიდს გაჭირებაშია: არ იცის, რომელს ერთს ცოდნას, რომელს ერთს შტოს, ყლორტს მეცნიერებისას მიაქციოს უმეტესი ყურადღება, მეტი გულისყური, რომელი ერთი აირჩიოს და ისწავლოს ზედმიწევნით.

სხვა-და-სხვა გვარს ცოდნასა და მეცნიერებათა შორის ნაკლების ყურადღების ღირსი არ არის ის რთული მეცნიერება, რომელიც კაცს თავისს თავს გააცნობს, თავისს თავს ასწავლის: დღევანდელს ყოფას თვალწინ დაუყენებს, წარსულს ცხოვრებაში ჩაახედებს, შეატყობინებს, რა ხორცისა და სულისაა, რა ენა აქვს, ანუ რა ზნე და ჩვეულება კერძოდ ერთს, თუ ყველა იმის ნათესავთა კრებულს. ამ რთულის მეცნიერების ნაწილია სხვათა შორის ზოგადი ანუ კერძო ეტნოგრაფია.

ჩვენ გვსურს, რამდენადაც შევიძლებთ, ავწეროთ ნამდვილად და ჭეშმარიტად აფხაზეთის ცხოვრება; ეს ადვილი არ არის. აფხაზეთის გეოგრაფიულის მდებარეობისა გამო აფხაზთა ტომის ცხოვრება დღეს ის აღარ არის, რაც ამ ათიოდე წლის წინად იყო. სხვა რომ არა მოვიხსენიოთ-რა, უკანასკნელის ომიანობის დროს ერთი წილი აფხაზთა იძულებული იყო ოსმალეთში გარდახვეწილიყო, საიდგანაც ნახევრად აღარ დაბრუნებულა. ზოგიერთნი აქეთ-იქით გაიხიზნენ და გადასახლდნენ. ყოველისავე ამის გამო აფხაზთა ერი იმდენად შემცირდა, რომ დღეს იმის მეოთხედიც არ არის, რაც ოდესმე იყო. რაკი ასე დატრიალდა ბედი აფხაზთა, რაკი ხალხი შემცირდა, აქეთ-იქით გაიფანტა, წავიდ-წამოვიდა, ზოგი ვის შეეხიზნა და ზოგი ვისა,—იმათ ზნე, ჩვეულება, სარწმუნოება და ყოველივე წესი და ადათი თანდათან შეეცვალათ, გადაუსხვაფერდათ, გაუქრათ და დაეკარგათ. თუ მივიღებთ აგრეთვე სახეში თავ-გამოდებულს მოქმედებას დღევანდელის სამღვდელოებისას და ამათ მიერ ქრისტეს მოძღვრების გავრცელებასა და ქადაგებას აფხაზთა შორის და ამას ზედ დაურთავთ ევრედ წოდებულის ცივილიზაციისა და საზოგადოდ განათლების ზედმოქმედებასა და გავლენას, ადვილად მივხვდებით, რომ აფხაზეთში, თუ დღეს არა, ხვალ ბევრს ველარას ვნახავთ იმისას, რაც ოდესმე გვინახავს.

ამიტომ ბევრი რამ, რაც ჩვენ აღვწერეთ, თვალით არ გვინახავს, აქა-იქ ვძებნეთ, მოვათხრობინეთ, შევკრიბეთ.

ამ სიძნელეს გარდა, არის სხვა გვარი სიძნელეც: ერთი წილი ეტნოგრაფიული მასალა შესწავლება პირდაპირ თავის თავად და შეიძინება ცხოვრების უბრალო, ასე ვსთქვათ, ზედა-პირის დაკვირვებით, მაშინ-როდესაც სხვა კი თხოულობს შემკრებ გამომკვლევლისაგან საკმაო შრომასა და უკეთესს შეგნებას. ეს იმიტომ, რომ ის ეტნოგრაფიული მოვლენანი, რომლებიც ჩვენ აქ სახეში გვაქვს წმინდა საქმედ მიაჩნიათ, დაფარულია და არ ამჟღავნებენ. მაგალითად ბევრი რელიგიური წესები და ცერემონიები დაცული აქვსთ „წმინდა-წმინდათასავით“. იმათი ნახვა და შეტყობა ძნელია გარეშე კაცისათვის. ამ შემთხვევაში საჭირო იყო სხვა გვარად გვემოქმედნა, სხვა გვარი ხერხი გვეხმარა, ოსტატობა და, თუ გნებავსთ, ეშმაკობაც გამოგვეჩინა.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ „ლინგვისტიკა“ ძრიელ ეხმარება ეტნოგრაფიასა და ხშირად ერთის სიტყვის ახსნა და გარჩევა უფრო ნათელსა ჰფენს და ჰხსნის რაიმე ეტნოგრაფიულს მოვლენას, ვინემ გრძელი აღწერა ამ მოვლენასი. ხოლო იქ, სადაც რომელიმე ფაქტი გადავარდნილა და დავიწყებულა და მარტო სიტყვა-ღა დარჩენილა ენაში, ამ გვარ შემთხვევაში ასეთის სიტყვის განხილვა და გარჩევა აუცილებლად საჭიროა. ამიტომ ამ საგნისათვისაც არ ავუქცევია გვერდი.

ამ წერილების შედგენის დროს ჩვენ ხელთ არა გვქონია არც ერთი წიგნი, დაწერილი აფხაზთა შესახებ. ჩვენი ერთად-ერთი წიგნი იყო თვით ნამდვილი ცხოვრება ამ ხალხისა.

ქვემოთ იქნება განათლებულს მკითხველს ბევრი რამ ეჩვენოს წვრილმანად და უმნიშენელოდ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ის, რაც ჩვენ წვრილმანად, უმნიშენელოდ მიგვაჩნევია, ხშირად დიდის ღირსებისა და მნიშენელობის გარემოება აღმოჩენილა. რაც უნდა წვრილმანი რამ იყოს ხალხის ცხოვრებაში, იმისი შესწავლა მაინც მოვალეობაა ჩვენი. ნუ დავივიწყებთ, რომ თვით ჩვენი ეხლანდელი განათლება, რომლითაც ასე თავი მოგვაქვს, ღვიძლი ასულია ბარბაროსულის ზნე-ჩვეულებისა წესებისა და სარწმუნოებისა.

აფხაზი.—ხასიათი აფხაზისა.—ცარცვა, თავ-დასხმა და ქურდობა.—მჭევრმეტყველობა.—სისხლის ძიების საქმე.—სამშობლოს სიყვარული.—სტუმართ-მოყვარეობა, დარბაისლობა და სალამი.—ფორმალისტობა, ნამუსი და სარგებლობა.—საერო თამაშობანი და სახალხო პოეზია.

შავ-ზღვასა, კავკასიონის ქედსა და სამურზაყანოს შუა მდებარეობს ერთი ვიწრო გრძლად არდონის მდინარემდე გადაჭიმული, პატარა, მაგრამ მშვენიერი, ტურფად შემკული და მდიდარი ქვეყანა. ეს ქვეყანა აფ-

## ახალი ამბავი

*** ჩვენა ენახეთ ბ-ნ მურიესაგან ფრანგულად დაბეჭდილი სულხან ბარათაშვილის ისტორია, პირველი რვეული, ქრისტიანობის შემოღებამდე. წიგნი სუფთად არის გამოცემული, მაგრამ არც თარგმანია, არც მიბაძვაა; ბ-ნს მურიეს რაც მოსწონებია, ის შეუტანია. რაც მსჯელობა და საკუთარი აზრები ჰქონდა ფეოდალურს წეს-წყობილებაზე, ის ყველა გამოტოვებული აქვს.

*** ერევნის მეიდანზედ პატარა ბაღში ყოველ საღამოს მრავალი ძიძები და მოსამსახურე ქალები დაიარებიან სასეირნოდ და თან დაჰყავთ პატარა ყმაწვილებიც. მოსეირნე მოსამსახურე ქალთა შორის ყოფილა ერთი ახალგაზდა იმერელი ქალიცა, რომელსაც ვიღაც შეგირდი ასდევნებია და მოსვენება აღარ მიუცია. ყოველს საღამოს ეს ქებული შეგირდი აედევნებოდა ამ ქალს და აბეზრებდა თავსა. მოთმინებიდამ გამოსულმა ქალმა განიძრახა დაესაჯა როგორმე ახალგაზდა მოტრფიალე და გუშინ-წინ საღამოზედ გამოვიდა იმავე ბაღში პატარა წკეპლით, რომელიც ჰქონოდა დამალული კალთის ქვეშ. როდესაც ამ ყმაწვილმა გაუარა გვერდზედ და თავისებურად დაუწყო ამაყობა, ქალმა მიჰმართა წკეპლას და ერთი თუ ორი პატარა ლოყელასსა. ზურგ-ამწვარმა მოარშიყემ მალე იკადრა მოშორება ქალისა და ასეთის მამაცობით ოტებული სირცხვილეული ლტოლვილ იქმნა ბაღიდამ.

*** კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, გაჩენილა ყვავილი და რამდენიმე ყმაწვილი უმსხვერპლია კიდეც.

*** ჩვენ მივიღეთ გაზეთ „თეატრის" მიერ ცალკე წიგნად დაბეჭდილი „სცენები მიროვოი სუდიასთან", დავით სოსლანისა. ფასი წიგნისა 13 კაპეიკია. ეს სცენები ამ ერთისა თუ ორის წლის წინად წარმოდგენილიც იყო ჩვენს თეატრში.

*** გაზ. „თეატრის" რედაქტორს განუზრახავს ჰბეჭდოს თავის გაზეთში სხვა-და-სხვა პიესები და მერე იქიდამ ცალკე წიგნებად გამოსცეს ხოლმე. ესე გადმობეჭდილი წიგნები „თეატრის" ხელის მომწერთ ნაკლებ ფასად დაეთმობათ და ჩვეულებრივის მყიდველისათვის-კი მეტი ეღირება. მაგალითად, სცენები დ. სოსლანისა ხელის-მომწერთათვის ღირს 10 კაპ., ხოლო ჩვეულებრივის მყიდველისათვის 13 კაპ.

*** **სოფ. ბოსლევიდგან** (შორაპნის მაზრა) გვწერენ, რომ იქ შემდეგი უბედურება მომხდარა. 27-ს ივლისს, დილის შვიდს საათზე, ორი ყმაწვილი კაცი მ—ე და ს—ი წავიდა მდინარეზე თევზის დასახოცად დინამიტით. ერთი პატრონა დინამიტისა მისცეს ხელში ე. სუხიაშვილს წყალში გადასაგდებად. სანამ გადააგდებდა, საბრალოს პატრონა ხელში გაუსკდა და იქვე სული გააგდებინა. მესამე დღეს უბედური ე. სუხიაშვილი წყალიდგან ამოიღეს სრულიად დაგლეჯილი. დინამიტს ხშირად ხმარობენ ჩვენში თევზის დასახოცად და, შესაძლოა, კიდევ შევესწრათ იმ გვარსავე უბედურებას.

*** **იქიდამვე:** სამს ამ თთვისას, დილის ოთხს საათზე ძირულის სადგურის მახლობლად შეუნიშნავთ ერთი კაცი ლურჯ ჯორზე მჯდომი. ამ კაცს თან ორი ბავშვი მოუყვანია: ერთი მათგანი დაუგდია სადგურის მახლობლად და მეორე ძირულის დიდ ხიდთან. ეს კაცი დანახვით-კი დაუნახავთ, მაგრამ ცნობით-კი ვერ უცვნიათ. ეს კაცი, როგორც შენიშნეს, სოფ. ილიგისკენ წასულა. ბავშვებთან ერთად წერილები იპოვეს. ერთს ბავშვს სახელად ჰქვიან მართა და მეორეს ეკატერინე. ყმაწვილები მონათლულები ყოფილან.

*** **გორი:** გორელ კინტოებს იქამდის გაუვიდათ თავს, რომ არამც თუ სოფლელ გლეხ-კაცობას, არამედ აზნაურებსაც-კი არ გაატარებენ ხოლმე ქუჩაში ისე, რომ რაიმე უპატიურობა არა მიაყენონ. ამ ორის დღის წინად ვიღაც აზნაურს ა. მ—შვილს ჩამოეტანა გორში ქირნახული გასასყიდად. როდესაც გაჰყიდა, გაჰყვა მსყიდველს ფულის მისაღებად; შეუხვია თუ არა დახურულ ბაზრისკენ, მაშინვე იქვე კუნჭულიდგან გამოხტა ერთი კინტო და მიწა მიაყარა შემდეგის სიტყვებით: იქმნება შენ დამარხვის დროს არ ვიყვეო და ეხლავე გეუბნები: მიწა ხარ და მიწადვე მიიქეცო.

*** **იქიდამვე:** გუშინ-წინ გორელ ბაზრის უფროსს, მირიანაშვილის ბაღის ღობეზედ უპოვნია ღვინით შეღებილი მღვთის მშობლის ხატი. ეს ხატი, როგორც აღმოჩნდა, სვენებულა ოქონის ეკკლესიის სამრეკლოს კედელში, აქედგან ვიღასაც წაუღია, ღვინო შეუსხამს და ღობეზედ შეუდვია.

აქ საქონლის ჭირი მძვინვარებს.

*** **ქ. პიატიგორსკი:** მთელი ივლისი ისე გავიდა, რომ ცვარი ნამი არ გვღირსებია; 30-ია ამ თთვისა, და სიცხე ორმოც-და-რვა გრადუსამდეა. ყველას უკვირს ამ გვარი სიცხეები. მეტის-მეტად შეგვაწუხა სიცხემ სტუმრები.

ძრიელ შიშობენ ზოგიერთნი და სწორედაც რომ საშიშოც არის აქაური სიცხე ამისთანა უწმინდურ ქალაქში, როგორიც ჩვენი პიატიგორსკია. ადვილად შესაძლებელია აქ გაჩნდეს რამე გადამდები ავადმყოფობა.

გუშინ, ამ თთვის 29-ს აქ ორი კაცი გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, ამათის სიკვდილის მიზეზი დამპალი სანოვაგე და ხილიაო. მთელი ქალაქი სავსეა ათას გვარის უწმინდურებით და აყროლებულის დამპალის სანოვაგეულებით; არც ექიმები და არც ქალაქის მართველობა არ აქცევს ამას ყურადღებას.

*** **იქიდამვე:** ყოველ წელიწადს ქ. პიატიგორსკში კურსი იწყობოდა 1-ს მაისიდგან და თავდებოდა ხოლმე აგვისტოს დამლევს;—წელს-კი სულ სხვა გვარად შეიცვალა წესი და კურსი მოკლეს ხანს იყო, რადგანაც მაისში დიდის ავდრების გამო თვის გასულს დაიწყო, და ეხლა ამ საშინელმა სიცხე პაპანაქებამ გააბნია ხალხი. დიდ-ძალი ხალხი წავიდა კისლოვოდსკში. კავკასიის მთავარ-მართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვიც კისლოვოდსკშია. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი მობძანდა ამ თთვის 28-ს საღამოს საათის 5 ზედ ქ. პიატიგორსკაში, დაათვალიერა აქაური ეკკლესიები და სობოროში სწირა იმავე დღეს. მეორე დღეს, საღამოს საათის 7-ზე, წაბძანდა კისლოვოდსკისაკენ. ამბობენ იქ დარჩება რამდენსამე დღესაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. წევა** (შორაპნის მაზრა), 30 ივლისი.

„პაპანებაა, ბუღი სდგას,
უჭირს საბრალო ყანასა;
გასჭირდა, გოლვას ვერავინ
ვერ უძლებს ამისთანასა".

სწორედ ესევე შეიძლება სთქვას კაცმა წრევანდელს წელს. სხვაზედ არას ვიტყვი და, თქვენი მტერი, ჩვენ მაზრაში მართლაც „გოლვას ვერავინ ვერ უძლებს ამისთანასა". აქაურს მუშაკსაც თამამად შეუძლია განიმეოროს:

„ღმერთო, თუ კი რამ შემძლო,
მოვხან, მოვთესე ბეჩავმა,—
შენს იმედზედ ვარ, უფალო,
მეტი რაღა ვთქვა ბედშავმა?"

სიმინდის მოსავალი მეტად იკლებს წელს. რაღა ქნას საწყალმა და გაჭირვებულმა? ვის მიმართოს? წარსულს წლებში ამ ნაირს ჟავრს, როგორც იქნებოდა, გაუძლებდა ხალხი: შავის ქვის გადატანით იოლად მიდიოდა. რა მოვიგონოდ წელს? თუმცა შავის ქვის წარმოება სრულებით არ მოსპობილა, მაგრამ იმისი გადატანა მუშა ხალხს ხელს არ მისცემს. წარსულს წლებში ფუთი ქვის გადატანა ჭიათურიდგან დ. ზესტაფონამდე უკანასკნელი ხუთი შაური იყო, წელს-კი ამისი ნახევარიც არ არის: ეს გარემოება ბევრს შველოდა. ხალხიც დარწმუნებულია, რომ წელს სიმინდის (ღვინის მოსავალს ჯერ კაი პირი უჩანს) მოსავლით წლიდგან წლობამდე თავს ვერავინ გაიტანს.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენში ავაზაკობა, ცარცვა-გლეჯა და სხვა ავკაცობა მძვინვარებს. ზოგიერთები ისეთს უწესოებას სჩადიან, რომ სწორედ არ იცი, რას მიაწერო იმათი საქციელი. ზოგიერთი რაინდები დღისითაც აღარ სამრახისობენ არავითარს უგვანო საქმეს. ამის მაგალითსაც მოგახსენებთ. ჯერ კიდევ ივანობის თთვე გახლდათ, ორმა ახალგაზდა კაცმა, ჩვენში კარგად ცნობილმა, ერთი კორიანტელი დააყენეს დღისით პავლე მოსეშვილის „კანტორა"-ს. არ ვიცი, ვისთვის რა დაუშავებია ამ კანტორის მმართველს, რომელსაც ზემოხსენებულმა რაინდებმა, უიმისოდაც ავადმყოფს ბართლომე მოსეშვილს, თავ-პირი დაამტვრიეს. რა იყო მიზეზი ამ ნაირის თავს დასხმისა, არ ვიცით ნამდვილად, მხოლოდ ხმა დადის, რომ იმ ორს ახალგაზდა კაცს უსიამოვნება ჰქონიათ თვით კანტორის პატრონთან— პ. მოსეშვილთან. თუნდა ასეც ყოფილიყოს, აქ მაინც რა შუაშია კანტორის მმართველი, რომელსაც დღესაც-კი გვერდები დალილავებული აქვს ნამეტანის ცემისაგან, კეტით, თუ ქვით. მართალი ნათქვამია: „ცხენს ვერა დააკლეს, უნაგირს მტვრევა დაუწყესო".

ამავე ვაჟბატონებმა ამ დღეებში შემდეგი არა ნაკლებად გულ-საკლავი ამბავი ჩაიდინეს. 28 იმ თვისას მიუსტნენ კეტებით თავიანთს მეზობელს, სისხლსა და ხორცს, რომელიც თავისს ეზოს ჰგვიდა. ოჯახში გარდა ქალებისა არავინ იყო (თორემ ამ ჩემ წერილს ამ ორიოდე სიტყვით, ვგონებ, ვერ დავასრულებდით), მაგრამ არც ამათთვის დაუკლიათ ხელი. იმ ორს ყმაწვილს მამა წინამძღოლად ჰყავდათ, და ამ ნაირად ააწიოკეს უმისოდაც სუსტი ქმნილებანი. უსათუოდ ერთი სისხლის ღვრა იქნებოდა, რომ იმათ წინ არ გადაჰღობებო-

---

ხაზეთია და დასახლებული იყო და არის აფხაზთა ტომის ერითა, თუმცა ეხლა ეს ადგილები ნახევარზედ ცალიერია.

აფხაზი შუათანა ტანისაა, გამხდარ-გამხდარი, შავგვრემანი, შავ-თმა-წარბა და შავ-თვალა. თვალთა მეტყველება ცოტა ველური და ნაღვლიანი აქვს.

ნიჭითა და სილამაზით საკმაოდ მდიდარია ბუნებითად, მაგრამ აფხაზის ხასიათში ბევრს საუკეთესოს და პატიოსანს თვისებას სულისასა და გულისას ჰნახავთ, საძაგელსა და საზიზღარს ბიწიერებასთან ერთად მოთავსებულს.

აფხაზი დაუვრომელია, ცქვიტი, სწრაფი, ფიცხი, მედიდურის ხასიათისა და თავ-მომწონე. მცირედი რამ იმისთანა, რაც უპატიურობად მიაჩნია, საკმარისია აანთოს იმისი ბუნება, უამისოდაც ფიცხი და მხურვალე. იგი ახოვანი, გამბედავი, უშიშარი და ქურციკსავით მარდი ვაჟკაცია.

ძველ დროდამვე აფხაზს დავარდნილი აქვს სახელი უშიშარისა და გამბედავის ავაზაკისა. აფხაზებისა მუდამ ეშინოდათ მეზობლებს, რადგან მუდამ თავს ესხმოდნენ და სცარცვავდნენ და არბევდნენ. ცარცვა და თავ-დასხმა, როგორც აფხაზთა, ისე ყველა მთიულთა თვისებაა. „ცარცვა და თავ-დასხმა რომ არ ყოფილიყოვო,—ამბობს ერთი მწერალი[1]),—მთიული სიცოცხლეს სიცოცხლედ არ ჩასთვლიდა. ეს არის იმისი პოეზია, ლაზათი იმისის არსებობისა. მარტო ვეფხვს თუ შეუძლია მთიულზე უკეთ მიეპაროს მძინარე სოფელსა ბნელსა და ქარიშხლიანს ღამეს, როდესაც კაცი თავს ვერ გამოჰყოფს თავის სახლიდამ. ამ დროს არ დაიჩხარუნებს მთიულის ხმალი, რომელიც ტყავის ქარქაშშია, არ დაიწყებს პრიალს მაჟარი, რომელიც გახვეული აქვს შავ ბეწვიან ბუდეში, ბრაგი-ბრუგს არ აუყენებს იმისი ქალამანი, ლბილი და მოქნილი კატის თათივით, არ დაიჭიხვინებს იმისი ცხენი, დახელოვნებული და გავარჯიშებული ღამე სიარულში. თვით მთიულის ენა, რომელშიაც ნაკლებად არის ხმოვანი ასოები, არ გაამხელს და არ გასცემს, იმიტომ-რომ იმისი ლაპარაკი უფრო ფოთოლის შრიალსა ჰგავს, ვიდრე ლაპარაკს. მარტო ვეფხვს შეუძლიან ისე მსწრაფლად, უცებ და თავ-დაუზოგველად დაეცეს კაცს თავს, როგორც მთიული ესხმის. დასისხლიანებულის თვალებით, ხმლით და დამბაჩით ხელში, საშინელის ყიჟინითა, რომელიც შიშის ზარსა სცემს ადამიანსა, ჩაერევა ხოლმე მთიული ბრძოლაში და იმ დროს გამარჯვების მეტი სხვა აღარა ახსოვს-რა".

ასეთი იყო აფხაზიცა და ის მთიელნიც, რომელნიც გარს ერტყნენ აფხაზსა, მაგრამ აფხაზს არავის წინ არ მოუდრეკნია თავი და არავისთვის არ შეუქცევია ზურგი ძველად.

ქურდობა აფხაზს ეხლაც ვაჟკაცობად მიაჩნია, და ისეთივე საჭიროება მისთვის, როგორც სასმელ-საჭმელი. ყველას, მოხუცებულიდამ პატარამდის, ქალიდამ კაცამდის, ეს სენი ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და მაღალს წოდებას ხომ პროფესიად გადაუქცევია. დრო და გარემოება იცვლება, თაობა თაობას მოსდევს, მაგრამ ქურდობა ისევ ერთსა და იმავე დონეზე სდგას აფხაზეთში.

ან-კი რა არის აქ გასაკვირი? კაცი საზოგადოდ და განსაკუთრებით ყმაწვილი რიგიანს აღზრდას მოკლებულია, მომეტებულად ექვემდებარება გარემოცულ გარემოებათა ზედ-მოქმედებასა და გავლენას. რა გვარს ზნეობის მაგალითებსაცა ჰხედავს, იმასა ჰბაძავს ისიცა. მერე რასა ჰხედავს აფხაზი ყმაწვილობაში, როდესაც იმისი სული ჯერ კიდევ უმანკო და წმინდაა? აფხაზის ბავშვი, წამოიზრდება თუ არა და დაიწყებს თავისუფლად ლაპარაკსა, მომეტებულ დროს დღისით ტყეში და მინდორზედ ატარებს, სადაც უკავია რაწალდი, თავისს თავზე უფრო გრძელ-ტარიანი, მწყსავს თხასა, ანუ კამეჩებსა. აქ არა ერთხელ ჰხედავს, რომ მელა ხერხით და ეშმაკურად იპარავს კრავს, ანუ ციკანს; სიმშილისაგან გახელებული მგელი მწყემსის ცხვირ-წინ იტაცებს და მიაქვს ტყეში ცხვარი, ანუ თხა; ფრთოსანთა ცხოვრებაშიაც ჰხედავს, რომ სხვა-და-სხვა მტაცებელნი და ძლიერნი მფრინველნი დაათვალიერებენ, სად რა საშოვარიაო, და, იხელიებენ თუ არა მარჯვე დროს, დაეცემიან ფრინველებს, ანუ პატარა ცხოველებს და რა-კი ერთხელ ჩაიგდებენ საშოვარს კლანჭებში, ადვილად აღარავის არ ანებებენ.

ყველა ესა და ამ გვარი ბევრი სხვა მაგალითები, ხშირად სისხლის სცენები, რომელსაც ყმაწვილი ხანდახან ყოველ დღე ჰხედავს, რასაკვირველია, სამუდამოდ სტოვებს თავისებურ კვალსა ყმაწვილის ახალგაზდასა და ნორჩს ხსოვნაში.

გარდა ამისა სოფელსაც რომ თავი დავანებოთ, იმ სოფელს, სადაც ხან ერთი ჰკარგავს პირუტყვს და ხან მეორე და გამართულია ამის გამო თითქმის ყოველ დღე ყიჟინი, ბავშვი თავის საკუთარის ოჯახის ცხოვრებიდამაც ჩქარა მიხვდება, რომ ქურდობა უფროსთაგან არა თუ დაგმობილია, არამედ თვითონაც თავ-მოწონებით მისდევენ. აფხაზის ოჯახში ხშირად ცბიერი და ჭკვიანი დიასახლისი ამოიღებს უალაგო ალაგას ჩაგდებულის ქურიდამ ნაქურდალის საქონლის ხორცს და ჰხარშავს უდროვო-დროს მეტის-მეტის გაფრთხილებით, რომ არავინ არ შენიშნოს. ამ გვარებს უფროსნი, მართალია, უმალავენ ბავშვებსა და, თუ იკითხეს რამე, ტყუილებს უპასუხებენ, მაგრამ ცნობის მოყვარე ყმაწვილნი ადრე თუ გვიან მიხვდებიან ხოლმე, საქმე რაშიაც არის. ხოლო ყმაწვილი, როცა წამოიზრდება და გულის-ხმაში ჩავარდება, მშობლები უკურთხებენ იარაღსა, აძლევენ და არიგებენ: შეიძინე, იშოვე რამე ქურდობა-მტაცებლობით, როგორც შენი ტოლ-ამხანაგნი იქცევიანო.

მაშასადამე, ქურდობა ნაკურთხია მშობელთა უფლების ავტორიტეტითაც.

მივაქციოთ ყურადღება ერთს სხვა გარემოებასაც. ბავშვს, როგორც ვიცით, გაგიჟებით უყვარს ყოველ გვარი ახალი ამბები და მოთხრობანი,

---

[1]) კავკასია—ბროშურა სერგეი მეჩისა.

დნენ გარეშე მეზობლები. ქალებს უშვერის სიტყვებით დაუწყეს ლანძღვა, და კიდევ კარგი, რომ ამას დასჯერდნენ ძალა-უნებურად.

◆

## მგზავრის დღიურიდამ

თუშეთი, 23—28 ივლისი.

23 ივლისს გავემგზავრე თუშეთისაკენ. თანამგზავრობის სურვილი გამოაცხადეს თიონეთის მასწავლებელმა დ. თაბუნიძემ და მოსკოვის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლემ ა. მრევლიშვილმა. ნებას ვითხოვ მკითხველისაგან პატარა ხანს გვერდი ავუქციოთ თუშეთის ამბებს და მივაქციოთ ჩვენი ყურადღება სოფ. ბიწმენდს (საგურამოდგან ოთხს ვერსზეა). თვით სოფელი არაფრით არის შესანიშნავი; საინტერესოა მხოლოდ აქ გაგონილი ნაწყვეტი ხალხურის „ვეფხის-ტყაოსნისა“. იქნება ხალხურმა „ვეფხის-ტყაოსანმა“ გადასწყვიტოს აქამდის გაუთავებელი ბაასი, საიდგან არის აღებული შინაარსი ამ ძვირფასის ნაშთისა. ამისთვის ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ახალი ვარიანტი ამ ხალხურის პოემისა.

ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე,
გუყვარდა ნესტან-დარეჯან,
რატომ არ შეპატყობინე,
ქინქლაო, ხელმწიფის სისხლი
თავს რაზე დამადებინე.

ტარიელი ამბობს:

ეს კაცნი ვინა მოსულან,
კაცნი მეუცხოებიან,
ცხენსა ჰკაზმვენ, უჭირებენ,
წასვლას ელამუნებიან;
ე ქალი რომ მაგათ მიჰყავთ,
მე რაღას მეუბნებიან?

—

მეკიდობნენი მოვიდნენ
ქვებითა არა ქვებითა,
კიდობნები ააშენეს,
მოხატეს ხარატებითა,
შიგ ჩასვეს ლერწამ დარეჯან,
ძალითა, არა ნებითა,
შიგ ჩაუსვეს სამი გველი,
სამივ გადამტერებითა:
შავმა სთქვა, მოდი შავჭამოთ,
წითელმა გადადებითა,
თეთრმა სთქვა, მოდი ნუ შევჭამთ
ტარიელისა ბედითა.

ტარიელი ეუბნება წყალსა:

წყალო, რა გიყო, ტიალო,
შე წყალო არაზიანო,
არც თოფი გეკვრის ჩემგანა,
არც ხმალნი გიცემიანო.

—

წავიდა გმირი ტარიელ
წყლის პირად იარებოდა,
არცა-რა ჰქონდა საჭმელად,
არცა-რა იამებოდა.

„ლერწამ“ დარეჯანის მაგივრად იპოვნა ვიღაც ბებერი და მაშინ სთქვა ეს ლექსი:

ბერი მომყვანდა ბებერი,
მომიხაროდა ქალათა,
დავჯექ და კბილი უნახე,
ერთი არ ედგა წამლათა,
არცა ჰქონდა თავზე თმაი,
თუ არ დამეკრა ძალათა.

ადგა, წავიდა ტარიელ და ეძებს ნესტან-დარეჯანს. ჰნახავს თავის „დეიდაშვილს“ ავთანდილსა.

ერთმა პირქუშმა მოყმემ
ცხენ ხუთქვით ჩამოიარა,
გუთნეულს ხელი გაგვიკრა,
ზღვას გაღმა გაგვისრიალა.
მე რომ ის კაცი მინახავს,
ისე რამ გააძრიალა;
ხარ-ირემს ნეკით ასწია,
ბურთივით დაატრიალა.

—

ერთსა რასმე წყლისა პირსა
ნამტირალვი გვანდა გმირსა,
ტურფათ ესხა მარგალიტი
იმის აბჯარ-უნაგირსა.

—

ადექით, აიყარენით,
ჩემო ედემ და ომარე,
ის კაცი აქა მომგვარეთ,
ვინ არის გელსა მდგომარე.
ბძანება შენი, ბატონო,
ბაგეთგან და კბილთაგან,
ადგილი სამსახურია
ერთის მოყვანა ორთაგან.

—

ამ ლაშქარსა უდიდესსა
ერთი ორბი ამოფრინდა,
ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი კაცსა,
გორა შესდგა ცხენ-კაცისა.
შენ იმ კოხედ მოუპარნი
მოგიმშვიდეს მათრახითა,
იქ გაგზავნილი კაცები
ჯერაც არ მოსულა ცითა.

ნესტან-დარეჯანი დაიხსნეს ტარიელმა და იმისმა დეიდაშვილმა ავთანდილმა, მაგრამ ისევ იტაცებენ ნესტან-დარეჯანს ქაჯები. ტარიელი სტირის და ეჭვი შეაქვს ავთანდილზე, რომ ვითომ თვითონ იმას უყვარს ნესტან-დარეჯანიო. ავთანდილმა შეჰფიცა თავისს ერთგულებაზე და ხელ-აპყრობით სთქვა: „ღმერთო, რა თითითაც მაგას მივეკარე, იმ ასოზე დამეცეს ასროლილი ისარი და გამაკვდებინოსო“. ისარი აისროლა, ჩამოვარდა და ნეკები მოაგდებინა.

ავთანდილმა ეჭვი შეიტანა თინათინის სიყვარულზე. თინათინი პასუხად ეუბნება:

ღმერთი რისხავდეს თინასა,
თორმეტი რჯული ხატისა,
უნდოდეს შენს მეტი ქმარი,
თორმეტი ჰყვანდეს გულისა.
უწყლო, ულარო წისქვილი,
მთაზე ვის გადაუგდია,
მოყვრისა ქალის გულისთვის,
ქმარი ვის გადაუგდია.

ეს ლექსი სთქვა გლეხმა ივანე ბეკოშვილმა. იმისი მეტი სახელი გახლავსთ ფოთოლა. ბეკოშვილი კარგი შემძლებელი კაცია. ბიწმენდში იგი აშენებს ქვითკირის სახლებს, აქვს შესყიდული ვენახები და ჰხნავს 20 დღიურამდე.

ბიწმენდი გაშენებულია სახელმწიფო მიწაზე. დღიური სახელმწიფო სახნავისა ისყიდება 150—200 მან. ვენახები საკუთრებაა მცხოვრებელთა, სახნავი-კი სახელმწიფოა. თითო სახლობა ჰხნავს 3—20 დღიურს. გადასახადი კომლზე 9 მანეთია, მაგრამ ჰყოფენ ამ გარდასახადს შეძლებისამებრ, ლიტრა-ჩარექობაზედ, ისე, რომ კომლზე მოდის 7—12 მან. ბავშვებს შიგა-და-შიგ ჰგზავნიან წინამძღვრიანთ კარში სასწავლებლად. მამული ურწყავია, მოსავალი კარგი იცის: ერთს ტომარაზე მოდის 5—6 ტომარა. ერთს ვერსზე ამ სოფლიდგან გაშენებულია სოფ. ჯილაური, სადაც სცხოვრებენ ქართლელები და უწოდებენ „სოფელს ქართლელებისას“.

◆

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში:

24 მკათათვისას ქართულის სასწავლებლის სასარგებლოდ გავმართეთ კავკავის საერთო ბაღში სეირნობა საჩუქრებით, შუშხუნებით, ჩირაღდნებით, მუსიკით, საზანდრებით და სხვ. საზოგადოებამ დიდი თანაგრძნობა გამოუჩინა ქართველებს; ბაღი ისე გაივსო ხალხით, რომ დასასვენებელი ადგილი აღარ იპოვებოდა და ბილეთების დარიგებას და ფულის დახურდავებას სამი კაცი ძლივს ასწრებდა. რასაკვირველია, ამდენს სანატრელს სტუმრებსა დახვედრაც კარგი უნდოდა და, რაც შეიძლებოდა, არაფერი დავიზოგეთ.

შევიგროვეთ სულ 1225 მან. 77 კაპ., აქედგან დაიხარჯა 481 მან. 32 კაპ. შემდგომ საგნებზე: 1) სხვა-და-სხვა თანამგრძნობელთა ნაბოძებ ნივთთ გარდა ვიყიდეთ საჩუქრები 144 მან. 10 კაპ., 2) ჩირაღდანი და ფარნები 25 მან. 15 კაპ., 3) მუზიკა 20 მან., 4) საზანდარი 12 მან., 5) ფეიერვერკი 50 მან., 6) აფიშებისა და ბილეთების დაბეჭდვა 10 მან. და 50 კაპ 7) მუშა, ყარაული, მოსამსახურეები და სხვ. 61 მან. 15 კაპ., 8) სტოლები და პავილიონის გაკეთება და ჩირაღდნების მომართულება 42 მან., 9) ჭურჭელი, სტაქნები და სხვ. 8 მან. 75 კაპ. და 10) სხვა-და-სხვა ნაირი საჭმელ-სასმელი 108 მან. 2 კაპ. ნაღდი ფული დაგვრჩა 744 მან. და 45 კაპ.

კავკავის საზოგადოება ყოველთვის მზად არის საქველ-მოქმედო საქმეს ხელი მოუმართოს, და ამ გზობით ჩვეულებრივზე უფრო გამოიჩინა თავისი კეთილი გული.

დიდი შემწეობა მოგვცეს იმათაც, ვისაც-კი მივმართეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრებმა. შეძლებისადა გვარად ყველამ უთავაზა საზოგადოებას ნივთები, როგორც წვრილმანი, ისე ძვირფასებიცა.

სამეურნეო კომიტეტი ქართულის სასწავლებლისა უცხადებს დიდს მადლობას რომლებმაც უხვად მოგვცეს შემწეობა ამ კეთილს საქმეში, სახელდობრ: რაკოვიჩის სახლობას, ა. პ. შაბლოვსკის მეუღლეს, კირილოვის მეუღლეს, ნ. გ. პანკრატოვისას, პ. ნ. წვიმიტიძისას, ე. პ. კარალევსკისას, ს. გ. პალიტოვსკისას, ა. ნ. ათაბეგოვისას, დ. ბარათოვისას, ე. რ. იაკოვლევისას; ბატონებს ს. ი. პაპოვს, პროხასკოს, სიტოვს, ტერტეროვს, ბაიდალაკოვს, კინტაროვიჩს, სალმანს, ჩერეინსკისას, პატიევს, გუბნელოვს, ზიპალოვს, ოტიევს, მარუშენკოს, სევეროვს, განჯუმოვს, გედევანოვს, შარმანდინოვს, ქალბატონს ენკენს, ისაისკის, ხანაზიზოვს, ციციკოვს, კირაკოზოვის შეგირდებს, ბალდასაროვს, შაეტგულოვს, ბ-ნს სომხიევს, ვ. ს. ტერ-ასატუროვს, დ. ომოზდკელოვს, ს. ოთაროვს, სიმონოვს, ზ. ბეჟანოვს, ე. ზალინოვს, ლ. ზერაქოვს, არ. ყაზაროვს, ა. ყაზაროვს, იაგ. აფრიამოვს, ა. კაციევს, ზ. მესხიევს, ს. თეთროევს, მ. ბაღიროევს, დ. ზალინოვს, აბულოვს, გ. მოზდოკელოვს, ი. ხუმაროვს, სიმონოვს, ს. ოსეპოვს, ვ. კუშაკოვს, ი. მამულოვს. ი. მატენოვს, ბაინდუროვს, ი. ბაქრაძეს, ც. მამულოვს. ალაკბარ ნანიევს, მამად-ბაღირ აბაზოვს, ს. ნ. მაღალაშვილს, აკოფოვს, ი. ნარიმანოვს, გოზალოვს, ვ. ინასარიძეს, ი. პ. ლუკიანოვს, ი. ი. შაშიევს, ი. პ. ლიტვიკოვს, ვ. ტ. სალავიოვს, ე. შადრინს, დ. ნ. ნიკიტინს, ს. ი. ლუნიევს, ბატაევს, ვ. ნოვიკოვს, ტ. მ. კუზმინს, ა. პასტოგოვს, ა. ავაკოვს, ს. მ. გალაველიოვს, მეორე პატაგოვს, მ. ტ. იოსიფოვს, ა. გ. აფრიამოვს, ა. გ. კირაკოზოვს, ა. ო. ყაზაროვს, ე. მ. სერგეევს, ნ. ფ. პრონინს, შუშინს, დ. ა. ანდრეევს, მეორე ინასარიძეს, ბანდარენკოს, შილევს, გოზალაშვილებს და მარჯანიას.

მ. ყიფიანი

ქ. კავკავი, 31 მკათათვე

◆◆

---

იმისთვის გასაგებნი. მაგრამ რა არის ბავშვისათვის უფრო გასაგები, თუ არ ზღაპრები, ლეგენდები და სხვა სახალხო შემოქმედობის ნაყოფი?.. მოხუცნი მოუთხრობენ ამ გვარ ამბებსა და ზღაპრებს ზამთრობით და იმით ამოკლებენ ზამთრის გძელ ღამეებს. პატარები, რასაკვირველია, აღტაცებით ყურს უგდებენ, მაგრამ ყოველივე ეს თითქმის ისევე მავნებელია იმათის ზნეობისათვის, როგორც სხვა ყოველივე, რასაც აფხაზის ბავშვი გარშემო ჰხედავს. მომეტებული ნაწილი ზღაპრებისა და ლეგენდებისა თავისს დედა-აზრითა და შინაარსით ქურდობა-მტაცებლობის გარშემო ტრიალებს და აღწერილია შიგ, ანუ ქებით არის მოხსენებული: სიმარდე, გულადობა და მამაცობა რომელისამე ყაჩაღისა, ანუ „აბრაგისა“, შემკობილი იმათი მოხერხება ქურდობაში, ჰკუა მახვილობა გაჭირებაში, მამაცობა ტაცებისა და ცარცვა-გლეჯის დროს.

აი ამითი აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ისეთი დიდი ალაგი უჭირავს აფხაზთა ცხოვრებაში, რომ ხშირად შუათანად განათლებულნი აფხაზნიც-კი, თავისს ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, კვლავ ქურდობას ჰკიდებენ ხელსა.

ქურდობაში აფხაზი დაუნდობელია: დღისით უკეთესნი მეგობრები სიტყვითაც და საქმითაც ღამით ერთმანეთს ჰპარავენ საკუთრებასა; ძმას ძმისა, მამას შვილისა და შვილს მამისა რომ მოეპაროს, ეს იშვიათი ამბავი არ არის აფხაზეთში. თითქმის ანდაზად გამხდარა ის გარემოება, რომ აფხაზს როცა სხვისი ვერა უშოვნია-რა მოსაპარავად, თავისი საკუთრება მოუპარავს. ხერხიანობასა და გამბედაობას დიდს იჩენს ამ საქმეში აფხაზი. ხშირია შემდეგი მაგალითი: ბნელსა და ქარიშხლიანს ღამეში ამდგარა აფრაზი, მოუპარავს მეზობლის ცხენი, ცხრა მთას იქით გადაუყვანია, იქ სხვა ცხენზე გარდაუცვლია, ნაცვალი ცხენი წამოუყვანია, მიუვალს ალაგას ტყეში დაუბამს, შემდეგ იმავე ღამეს თავის ლოგინში ჩაწოლილა და დილა ადრიანად, როცა ცხენის დაკარგვის გამო ატეხილა ყიჟინა, იმასაც მიურბენია სასოფლოზე, წყევლა-კრულვით მოუხსენებია ცხენის ქურდი და ქურდის კვალს გამოსდგომია სხვა მეკვლეთა შორის.

ქურდობასთან აფხაზმა დიდი უარი და ჰაშას კვრაც იცის... რაც უნდა აშკარად მოუხდეს ქურდობა და შენიშნონ კიდეც მოპარვის დროს, თავისს დღეში არ გამოტყდება დანაშაულში. სოფლის მსაჯულთა წინაშე, რომელნიც სოფლის ხნიერნი და უხუცესნი არიან, არა იშვიათად თვით ბრალმდებელისა და ბრალდებულის მოკეთენი, წარსდგება ხოლმე ასეთი ჰაშაქარი ქურდი და ისე ხელოვნურად აწყობილს და აკინძულს სიტყვას წარმოსთქვამს, რომ გარეშე კაცს ცხადზე უცხადესად ეჩვენება იმისი უდანაშაულობა. მსაჯულთაც კარგად იციან საქმე რაშია და რა გვარად იმართლებს დამნაშავე თავს, მაგრამ განაჩენს აყენებენ იმის მიხედვით, თუ ვინ როგორი სიტყვა წარმოსთქვა. ასე გამართლებულზე თვით მსაჯულნიც გაიძახიან ხოლმე: „მარჯვე ლაპარაკით, სიტყვის ძალით დაიხსნა თავიო“. არა თუ დიდნი, პატარეებიც საოცარს ნიჭს იჩენენ ხოლმე უარის თქმასა და ტყუილის მოგონებაში. ერთი ვიღაც რომაელი, რომელსაც ზედ-მიწევნით შესწავლული ჰქონდა და დახელოვნებული იყო სოფიზმებში, დაბრუნდა რომში და თავის თანამემამულეებს არწმუნებდა, რომ მე სიტყვას წარმოვსთქვამ ჯერ მართალზე და შემდეგ ტყუილზე და ორთავე შემთხვევაში თანასწორედ დავაჯერებ მსმენელებსაო. სწორედ აფხაზიც სცდილობს ასე მომზადებული იყოს, რომ გაჭირების დროს სიმტყუნეშიაც ისე თავი იმართლოს, როგორც მართალს საქმეში. ამიტომაც არის, რომ აფხაზთათვის დიდს ინტერესს წარმოადგენს სასოფლო ყრილობა და დავა. ამ ყრილობას ყველა კმაყოფილებით ესწრება. ახალგაზრდანი კიდევ აქ სწავლობენ აფხაზების სოფისტიკისა და რიტორიკის ყველა ჰანგებსა და ხრიკებს.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ გატაცებით ამბების მოყვარე და საზოგადოებრივის ხასიათის მქონე ბუნება აფხაზისა დილიდგან საღამომდის ვერა სძლებს შინა; აფხაზს არ შეუძლიან არ გავიდეს სასოფლოზე, სადაც კაცი კაცსა ხვდება ახალ ამბავის შესატყობრად. ერთის სიტყვით, თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ აფხაზი ხშირად მთელს დღეებს უსაქმოდ ამბების კრეფასა და ყბედობაში ატარებს, ჩვენ ადვილად მივხვდებით, რომ იგი მშვენიერი მოლაპარაკე უნდა იყოს. მართალია, მისს სიტყვას გადაჭარბება სჭირს, სამართლიანობა და გულ-წრფელობა აკლია აზრს, მაგრამ სიტყვა მაინც მჭევრ-მეტყველურია. იგი ყოველთვის სურათიოა და ხელოვნურად, მშვენიერის შედარებითა და მეტაფორებით ლაპარაკობს, მოძრაობასა და მიმიკას ნიადაგ მიჰმართავს. რაც უნდა მოუხერხებლად იჯდეს მოლაპარაკე, თუ უნდა გაჩვენოს, რომ ის, ვისზედაც მე ელაპარაკობ, ზეზე წამოხტაო, თითონაც მაშინვე ზეზე წამოხტება. მოლაპარაკე კი არ მოუთხრობს ხალხს ამბავს, უფრო წარმოადგენს იმის ხასიათსა, მიხვრა-მოხვრასა მსმენელთა წინაშე. კარგს სიტყვა-პასუხსა და ლაპარაკს, ანუ „მარჯვე ყბას“ აფხაზები დიდს პატივსა სდებენ და იმათის აზრით ვაჟკაცობის შემდეგ პირველი ალაგი უჭირავს კაცის ცხოვრებაში.

თუმცა ამ „მარჯვე ყბას“ და ამის შემწეობით გასამართლებასა და გამართლებას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აფხაზმა თავისს მტერსა და შეურაცხმყოფელს საქმით ერთი ორად რომ გადაახდევინოს და მოუგოს, მაშინაც არ ამოუვარდება ხვანჯი გულიდამ და ურჩევნია თავადვე პასუხი უგოს მტერსა, თანახმად ძველის მცნებისა: „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილის წილ.“ ხოლო სისხლის ძიება, თუ ჩვენს დროს სრულს თავისს ძალაში ვერ არის, ამ ბოლო დრომდის ხომ ერთს უპირატესს თვისებას შეადგენდა აფხაზთა ცხოვრებაში.

პ. გიორგაძე

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

**გერმანია.** ერთი ბერძნული გაზეთი ამბობს, რომ ამ ჟამად დიდი სიყვარული ჩამოვარდა ქვრივს იმპერატრიცა ვიქტორიასა და იმის შვილის დღევანდელის იმპერატორის ვილჰელმის შორისაო. აქამდე დედა და შვილი მომდურავად იყვნენ. მაგრამ ის გარემოებანი, რომლის წყალობითაც ჩამოვარდა უსიამოვნება დედასა და შვილს შორის, უკვე დავიწყებულ იქმნა ახლა. ხელმწიფის შვილს შეუყვარდა კვლავ თავისი დედა, რომელმაც დიდი მწუხარება გამოიარა და რომელმაც გერმანიის საბედნიეროდ დაივიწყა საკუთარი საპოლიტიკო გრძნობანი და სურვილნიო. ეხლაო, ამბობს გაზეთი, დედა მხოლოდ შვილის ბედნიერებასა და დიდებაზე-ღა ჰზრუნავს. მაგრამ ეურჩევთ ქვრივს დედოფალს თავისი ზრუნვა შვილისათვის მხოლოდ ლოცვითა და საქველ-მოქმედო საქმეებით გამოაცხადოს და საპოლიტიკო საქმეებში ნუ-ღარ გაერევა, მეტადრე ეხლა, როცა ინგლისსა და გერმანიას შორის ცოტა არ იყოს საქმე გამწვავებულიაო.

— ბერლინის გაზეთები იუწყებიან, რომ მაკენზის ანგარიში დედოფალის ვიქტორიის ნებართვით დაიბეჭდა ამ დღეებშიო. ლონდონსა და ბერლინში ერთს დროს გამოვა ეს წიგნი; ლონდონში ინგლისურად და ბერლინში გერმანიულად თარგმნილიო.

— გაზეთებმა ეხლა გამოამჟღავნეს, რაც მოხდარა ბერლინის უნივერსიტეტის რექტორის არჩევანების დროს. თურმე ვირხოვის უმთავრესნი მოწინაალმდეგენი ყოფილან ისტორიკოსი ტრეიჩკე და იურისტი ბრუნნერი. 64 პროფესორში 35 გერგარდტისათვის მიუცია თეთრი კენჭი და 25 ვირხოვისათვის.

**ინგლისი.** 25 ივლისს კრება ჰქონიათ უნიონისტებს. ყველაზე ბევრი ულაპარაკნია ამ კრებაზე ბალფურს მთავარ-სეკრეტარს ირლანდიის საქმეებისას. ბალფურს უთქვამს, რომ ჩვენი მოწინაალმდეგენი ირლანდიის გამო ჩვენ მიერ წარდგენილს კანონ-პროექტს ხელს უშლიან, მოჰყოლიან და ცილსა სწამებენ იმათ, ვინც იტვირთა ძნელი, მაგრამ მოსახერხებელი საქმე ირლანდიის დამშვიდებისაო. ჩვენ ცილს გვწამებენ, მაგრამ უსამართლოდ-კი გვწამებენ. ირლანდიაში მხოლოდ იმათ აპატიმრებენ და ჰსჯიან, ვინც კანონს არღვევს. ამბობენ, ვითომ მთავრობამ გამოძიება დანიშნა მთლად პარნელის მომხრეობის გამო და ამ გამოძიებით უნდა შეჰმუსროს თავისი მოწინაალმდეგენიო, მაგრამ როგორ შეუძლიან მთავრობას მოახერხოს რამე, თუ პარნელის მომხრენი მართალნი არიან? პარნელი და იმისი მომხრენი ისე უარობენ გამოძიებას, რომ უთუოდ რაღაცასა ჰმალავენ.

◆◆

# წვრილი ამბები

პარიჟის გაზეთები ხმასა ჰყრიან, რომ საფრანგეთის მუშათა აშლილობაში გერმანიას მონაწილეობა აქვს და გერმანია ფულებსა ჰფანტავს ამ საქმის უფრო მეტად გასამწვავებლადაო.

— ქ. მონტარჟში დაუდგამსთ ძეგლი მირაბოსი. მირაბო ფეხზედა სდგას ამ ძეგლში და ხელი შეკუმშული აქვს. ძეგლს ქვეშ აწერია: „მირაბო. 1749—1791“. ძეგლის კურთხევას დასწრებია კარნო. მთავრობის მხრივ სიტყვა წარმოუთქვამს დელენ-მონტოს, რომელმაც მირაბოს სახით რევოლიუციას შესხა თურმე ქება და დიდება.

— ამ თხუთმეტის წლის წინად ამერიკის დიდს ქალაქებში დამოგზაურობდა თურმე თოკზედ მოთამაშე ლოიალი, რომელსაც ხალხისთვის ძალიან მოუწონებია თავი და დიდი შეძლებაც შეუკრებია. ამ დროს შეჰყვარებია ერთი ინგლისელი ქალი, ავსტრალიიდგან მოსული. ეს ქალი არამც თუ მარტო ლამაზი და ახალგაზდა ყოფილა, არამედ მდიდარი და დამოუკიდებელიც. ლოიალმა პირველში ვერ გამოუმჟღავნა თურმე თავისს მიერ შეყვარებულს ქალს თავისი ხელობა. ქორწინების მეორე დღეს შეიყვანა თურმე თავისი მეუღლე ხალხით სავსე დარბაზში და თოკზედ თამაშობა, მუშაითობა დაიწყო. ამასთან ასე ჰფიქრობდა: თუ ჩემს ცოლს ჩემი ხელობა არ მოეწონება, თავს დავანებებ და დასს შევადგენ, მე აღარ ვითამაშებ ხოლმეო. მაგრამ ჯამბაზის მოლოდინი არ გამართლდა თურმე. ყმაწვილი ქალი დიდი აღტაცებით შესცქეროდა ქმრის თამაშობას და ისე მოეწონა, რომ გარდასწყვიტა თითონაც ესწავლა უეჭველად ის ხელობა და ქმარს მხარში ამოსდგომოდა. გახარებულმა ქმარმა დაუწყო ქალს სწავლება და ჩქარაც ისწავლა ქალმა თავისს მიერ მოწონებული ხელობა. წლის თავზე ცოლ-ქმართ ქალი ეყოლათ. ამ დროს ყმაწვილს ქალს უკვე დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი და მდ. ამაზონკაზე გაბმულს თოკზე გადავიდა. ეს ქალი არას დროს არ დაანებებდა თავს თავისს ხელობას, ხოლო ერთი ამბავი მოხდა და იძულებულ ჰყო თავი დაენებებინა. როცა ქალი ლულუ წამოიზარდათ, ისეთივე ნიჭი გამოიჩინა თოკზედ თამაშობისა, როგორც იმისმა დედამა და მამამ; ათის წლის ყმაწვილი ისე დარბოდა თოკზედ, თითქო ქუჩაზედ მირბისო. კანონის ძალით, ამერიკაში 14 წლისაზე მცირეწლოვანს ყმაწვილს ნება არა აქვს საზოგადოდ თამაშობისა და ამიტომ ამ ოჯახმა ევროპაში მოგზაურობა განიზრახა თურმე. ამ ჟამად იგინი ბერლინში იმყოფებიან.

# დეპეშა

4 აგვისტო

**ბელგრადი.** აუარებელ ავაზაკთა ბრბონი არბევენ ჩუნრიის არე-მარის სოფლებს, სამრევლო მღვდლების სახლებს და მონასტრებს, რომელნიც ჟანდარმებს საშველად თხოულობენ. ბელგრადში, ძველ სასაფლაოს ბუჩქნარებში, დაიჭირეს ორი ავაზაკი; კურშუმლიაში მოჰკლეს ერთი ოლქის მოხელეთაგანი; პრამმიაში მოჰკლეს თემის მოხელე.

**სიმლა.** ოთხმა ქვეითის ჯარის როტამ ბრძანება მიიღო სიკიმს წასვლისა. ჯელაპლატის ხეობაში თავ მოყრილი ტიბეთელები ემზადებიან თავ-დასასხმელად.

**ვენა.** აგვისტოს დამდეგს დედოფალი ნატალია დაბრუნდება ჰოლანდიაში.

**სოფია.** საზოგადოებას ჰგონია, რომ განვლილი წელიწადი უნაყოფო იყო და ჩვენი მდგომარეობა არაფრით არ განკარგებულაო; გამუდმებულმა გამოურკვევლობამ სული შევვიწუხა და მეტის-მეტად ძნელი ასატანი შეიქმნა.

**პარიჟი.** ამიენსა და დულანს ბულანჟეს მოსვლამ გამოიწვია უწესოება და დაპატიმრება რამდენისამე კაცისა.

**ბერლინი.** „Nordeutsche Algemeine Zéitung“-ი ამბობს, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის სავაჭრო ხელ-შეკრულობის გამო არც ყოფილა და არც იქნება ჩამოგდებული ლაპარაკიო.

5 აგვისტო

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს დადგენილება შესახებ ზურგის ჯარის-კაცთა მოხმობისა კავკასიის მხარესა და ომსკის სამხედრო ოლქში.

გამოცხადებულ იქმნა წესდება მეორე ცეცხლის გემთა საზოგადოებისა მდინარე დნეპრსა და იმის შესართავებზე.

**მოსკოვი.** საპატიო მოქალაქის მეუღლემ ფ. ი. უშაკოვისამ უანდერძა მოსკოვის უნივერსიტეტს 340,000 მან. სტიპენდიების დასაწესებლად ყველა ფაკულტეტებზე.

**ფრანკფურტი.** (ოდერის) პრინც ფრიდრიხ კარლოს ძეგლის აგების გამო გამართულ სადილზე ობერ-ბურგომისტრმა დასძახა იმპერატორის ვილჰელმის სადღეგრძელოდ „hoch!“ იმპერატორმა მადლობა გამოუცხადა, სიამოვნებით მოიგონა ერთგულება ერისა გოგენცოლერთა სახლობის მიმართ და დიდებით მოიხსენია რკინის ხასიათი და სამხედრო გინიოსობა პრინც ფრიდრიხ კარლოსი, რომელიც ბრანდენბურგის კორპუსს წინამძღოლობდა და იბრძოლა ვიონვილში, სადაც მტერსა სძლია. ბოლოს იმპერატორმა დასძინა: „შეძენილზედ ხელს არასოდეს არ ავიღებთ. ჩვენ გვირჩევნია გერმანიის 18 არმიის კორპუსი და 42 მილიონი გერმანელი ბრძოლის ველზედ გავსწყვიტოთ, ვიდრე დავთმოთ თუნდ ერთი კენჭი შეძენილის ქვეყნისა. აი ამ აზრითა ვსვამ ბრანდენბურგის ქალაქის ფრანკფურტისა და მესამე არმიის კორპუსის სადღეგრძელოს!“

**კოპენჰაგენი.** დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე მობრძანდა რუსეთის სამხედრო გემით კიოგებუხტს და გაემგზავრება დანიის სამეფო გვარეულობის სანახავად ბრენრსტორფს, სადაც რამდენსამე დღეს დაჰყოფს.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 | 96 | — | „ | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 161½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 20 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 271 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . . | 251 | | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადი ა ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აგვისტო 31 დღით არის.

6 დღე შაბათი. ფერისცვალება. კათოლ. ფერისცვალებავე. სომეხ. მოციქ. თადეოზისა და ქალწ. სანდუხტასი. მუსულ. ყურბან-ბაირამი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—54. მთვარე 12 დღისაა.

7 დღე კვირა. ღირსისა დომენტისა. კათოლ. ფაუსტინასი. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—12, ჩადის 6—53. მთვარე 13 დღისაა.

8 დღე ორშაბათი. კრიტის ეპ. მირონისა. კათოლ. ფიტალისისა. სომეხ. დაწყება ღვთის-მშობლის მიძინების მარხვისა. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—13, ჩადის 6—52. მთვარე 14 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 » |
| „ 2 „ | 2½ „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 3½ „ |
| „ „ 3 „ | 3 „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | „ |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 |
| მე-3 — . . . | „ „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი . . . . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| ღორის ხორცი . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

# განცხადებანი

კვირას, მარიამობისთვის 7-ს, იტალიის ბაღში **იქნება ჯიდაობა** გამოჩენილი მოჭიდავეებისა **კულა გლდანელისა** და მეგრელ **ნესტორა იოსებუასი.** (1—1)

ამა მდგომარე 1888 წ. ენკენისთვისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ორმოც-და-ორი (42) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში ვაკანსია სულ არ არის და აგრეთვე არ არის ვაკანსია პირველსა და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში. პროგიმნაზიის მესამე და მეოთხე კლასებში არის ვაკანსიები, არა ნაკლებ ათ-ათისა თვითოეულში. პირველს განყოფილებაში შემომსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა ინსპექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ 20 აგვისტოდამ 25 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა წარმოადგინონ წლოვანობისა და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობა არ ექნებათ, ბანკის მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა წარმოადგინონ, რომ ყმაწვილის მშობლები (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლებიან.

25 აგვისტოს დაიწყება მისაღები და ხელ-ახალი ეგზამენები და გათავდება 31 აგვისტოს რიცხვში.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.

სპ. ბ. ჯორჯიკია

(6—5)

ქ. გორში, ოროლობის ქუჩაზე, თევლიევის სახლში გაემართე ერთ-კლასიანი კერძო სასწავლებელი ვაჟთათვის. ამ სასწავლებელს საგნად აქვს მისცეს ყმაწვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა-ცოდნა და აგრეთვე მოამზადოს იგინი სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლების პირველ კლასებში შესასვლელად. მიღება ყმაწვილებისა დაიწყება 25 მარიამობისთვიდგან. სწავლის ფასი თითოზედ თვეში 2 მანათი.

კონსტანტინე გრ. ძე ცხვედაძე

(10—1)

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების სამმართველოში და ჩარკვიანის მაღაზიაში.

ქართული მწერლობა

(მეჩვიდმეტე საუკუნეში)

ზ. ჭიჭინაძისა.

ფასი 20 კაპ.

## კიოლერის კოლდ-კრემი

უოველთვის განირჩევა თავისის სიახლით და აგრეთვე შენარევით. იგი შედგენილია იმისთანა ნივთიერებისაგან, რომელიც კანს არბილებს. ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კიოლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზე 3—2 (ц)

## ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა

(Закавказская центральная справочная контора)

შ. ვ. დავიდოვისა.

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელსაც მთავრობისაგან ნება-დართული აქვს და რომელსაც გირაო აქვს შეტანილი ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქირაოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობას, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).

Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე